ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 12-13211
(SMP190004659)

ქ. თბილისი

13.12. 2019 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ირინე აბულაძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ქებურიას სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N71
ტელ.: +995 322555222
ელ. ფოსტა: n.sokhadze@unicard.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", TBCBGE22, ა/ა GE71TB1182836020100005
საიდენტიფიკაციო კოდი 202461406

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 11 დეკემბრის N4863 განკარგულების „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე 3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დავენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების ფახიანი საჩუქრებით დაჯილდოების მიზნით კომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათების (CPV:18530000) **SMP190004659** შესყიდვა, რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3920 (სამი ათას ცხრაას ოცი) ლარს.

3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში

N	დასახელება /მახასიათებლები		რაოდენობა (ცალი)	სასაჩუქრე ბარათის ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	პოსტერების კონკურსი	კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და ინარტფორმაციის სასაჩუქრე ბარათი 500 ლარიანი (I ადგილი)	1	490	490
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 400 ლარიანი (II ადგილი)	1	392	392
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 300 ლარიანი (III ადგილი)	1	294	294
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 200 ლარიანი (ფიფინა ჩრეული)	4	196	784
2	ეკიპირების კონკურსი	კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 500 ლარიანი (I ადგილი)	1	490	490
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 400 ლარიანი (II ადგილი)	1	392	392
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 300 ლარიანი (III ადგილი)	1	294	294
		კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათი 200 ლარიანი (ფიფინა ჩრეული)	4	196	784
				3920 ლარი	

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს "ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის "სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის ქვეპროგრამა (კოდი 32 02 13).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.2 სასაჩუქრე ბარათების გამოყენების ვადა განისაზღვრება ვაუჩერების მიწოდებიდან 1 (ერთი) წლის ვადით.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 .

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

7.1.1 სასაჩუქრე ბარათის წარმომდგენ პირს გამოყენების დროს უნდა ჰქონდეს უფლება თანხის დამატებით შეიძინოს სასურველი ნივთი.

7.1.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს სასაჩუქრე ბარათის მფლობელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

7.1.3 სასაჩუქრე ბარათზე მითითებული უნდა იყოს სასაჩუქრე თანხის ოდენობა, მიმწოდებლის დასახელება, მისამართი, სადაც შესაძლებელი იქნება სასაჩუქრე ბარათის განაღდება, გამოყენების ვადა (ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წელი) და დამოწმებული უნდა იყოს მიმწოდებლის მხრიდან ხელმოწერითა და ბეჭდით.

7.1.4 სასაჩუქრე ბარათის მფლობელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს სასურველი ნივთი შეიძინოს შემდეგ სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიაში) :

#	მაღაზიის დასახელება	მისამართი
1	Beko	თბილისი, ალექსანდრე თოლორაიას ქუჩა, 2, (ს/ც ისთ ფოინთი)
2	Beko	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 39
3	Beko	თბილისი, გლდანი საცხოვრებელი რაიონი, მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია
4	Beko	თბილისი, არჩილ კერესელიძის ქუჩა, 12
5	Beko	თბილისი, ვაჟაზლის მოედანი, 2, (ს/ც თბილისი სენტრალი)
6	Beko	ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 39ა
7	Beko	რუსთავი, შარტავას გამზირი
8	Beko	ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს და შესაბამისი დასკვნით ადასტურებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პროგრამის ასისტენტი სალომე შარაშენიძე.

9. გარანტია

9.1 სასაჩუქრე ბარათებით შეძენილ ტექნიკაზე უნდა ვრცელდებოდეს 1 წლიანი გარანტია.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან: